კითხვის დრო

საბავშვო გაზეთი, III–IV კლასი, N3

დისნეილენდი
(პარკი, სადაც მზე არასდროს ჩადის)

თუ გსურს, ერთ დღეში შეხვდე მიკი მაუსს, სამ გოჭს, ფიფქიასა და შვიდ ჯუჯას, ალისასთან ერთად იმოგზაურო საოცრებათა ქვეყანაში, ეწვიო **ეგზოტიკურ** ჯუნგლებს, ჩაყვინთო ოკეანის სიღრმეში, გადაეყარო მეკობრეებს ან გაფრინდე საჰაერო ხომალდით, მაშინ **დისნეილენდს** უნდა ესტუმრო.

ეგზოტიკური *– უჩვეულო, არაჩვეულებრივი, უცხო, უცნაური.*

დისნეილენდი, უზარმაზარი გასართობი პარკი, ცნობილმა **ანიმატორმა უოლტ დისნეიმ** შექმნა კალიფორნიაში (ამერიკის შეერთებული შტატები). პარკი 1955 წლის 17 ივლისს გაიხსნა და პირველივე წელს 5 მილიონამდე სტუმარს უმასპინძლა მთელი მსოფლიოდან. მაშინ იქ მხოლოდ 18 ატრაქციონი იყო, დღეს კი იმდენი გასართობი ადგილი, კინოთეატრი, სასტუმრო და მუზეუმია, რომ მათ დათვლას აზრი არა აქვს. პირველი ატრაქციონებიდან 14 დღესაც მოქმედია.

ანიმატორი *– ადამიანი, ვინც ქმნის ანიმაციურ ფილმებს.*

დისნეილენდის შექმნის იდეა უოლტ დისნეის თავის გოგონებთან ერთად სეირნობისას დაებადა ლოს-ანჟელესის (აშშ) გრიფიტ პარკში. გადმოცემით, უოლტ დისნეი გრძელ სკამზე იჯდა და ერთ-ერთ ატრაქციონს უყურებდა, როდესაც ეწვია ახალი გასართობი პარკის შექმნის იდეა. ის სკამი გრიფიტ პარკის შესასვლელში დღესაც დგას. სკამს წარწერა ამშვენებს. უოლტ დისნეის სურდა, შეექმნა გასართობი ადგილი, სადაც ყველა თავისუფლად იგრძნობდა თავს. ამიტომ მისი ერთ-ერთი პირველი მოთხოვნა იყო, რომ დისნეილენდში არ დაედგათ ჩვეული აბრები წარწერით: „გაზონებზე არ იაროთ!“.

თურმე უოლტ დისნეის ასევე სურდა, რომ ჯუნგლების ატრაქციონში ცოცხალი ცხოველებიც ყოფილიყვნენ. თუმცა, მოგვიანებით, ზოოლოგების რჩევით, გადაიფიქრა: ცხოველების უმეტესობა ხომ ღამით ფხიზლობს და დღისით იძინებს.

დისნეი თვითონ იღებდა მონაწილეობას ატრაქციონების შექმნაში. ბოლო ატრაქციონი, რომლის აგებასაც უოლტ დისნეიმ თვითონ უხელმძღვანელა, იყო „კარიბის ზღვის მეკობრეები“. ამ ატრაქციონის დასაწყისშივე, განძთა ოთახში მდგარ საწოლ -

გაგრძელება მე-2 გვ.

პირველი გვერდიდან

ზე, ადამიანის ნამდვილი თავის ქალაა მოთავსებული.

დისნეიმ ასევე საჭიროდ ჩათვალა, შეექმნა სპეციალური სკოლა თავისი პარკის მომსახურე პერსონალისთვის – „დისნეილენდის უნივერსიტეტი“. სწორედ ამ სკოლის დამსახურებაა პერსონალის წევრთა მაღალი პროფესიული დონე, მუდმივად გაღიმებული და თავაზიანი სახეები.

დისნეილენდის გასართობებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია ანიმაციური გმირების განსახიერება. პრინცესების, უფლისწულების, მეკობრეების, ჯადოქრების ფორმაში გადაცმული მომსახურე პერსონალი პარკის ქვეშ გაყვანილი გვირაბებით უჩუმრად გადაადგილდება, მოულოდნელად დამსვენებლების გვერდით ამოყოფს თავს და მათთან ერთად მართავს გასართობ ნომრებს.

დისნეილენდში უამრავი კოშკია. მძინარე მზეთუნახავის კოშკის სიმაღლე თითქმის 25 მეტრია. ეს ერთადერთი კოშკია პარკში, რომელსაც აქვს ნამდვილი და მოქმედი გასახსნელი ხიდი. თუმცა ის მხოლოდ ორჯერ აამოქმედეს: ერთხელ თვით პარკის გახსნის დღეს და მეორედ – განახლებული საშინელებათა ოთახის გახსნისას. ამავე კოშკის წინ 1995 წლის 17 ივლისს, დისნეილენდის 40 წლის იუბილეს აღსანიშნავად, მიწაში ჩამარხეს დროის კაფსული[3]. მას მიწიდან ამოიღებენ 2035 წლის 17 ივლისს, დისნეილენდის 80 წლის იუბილეზე.

კონკიას კოშკის სიმაღლე 56 მეტრია. მის აშენებას 18 თვე დასჭირდა. იგი მთლიანად მინისგან არის აგებული, აგურების გარეშე.

დროის კაფსული *– კარგად დალუქული ყუთი, სკივრი ან კიდობანი, რომელშიც ათავსებენ რაიმე ნივთებს და დიდი ხნის (50-100 წლის) შემდეგ ხსნიან. დროის კაფსული შეგიძლია შეინახო საიმედო ადგილას ან მიწაში ჩამარხო დათქმულ დრომდე.*

დისნეილენდის მონორელსი (ერთრელსიანი ლიანდაგი) იყო ამ ტიპის პირველი ყოველდღიურად მოქმედი რკინიგზა დასავლეთ ნახევარსფეროში. 1971 წლიდან უოლტ დისნეის მატარებლების მიერ გავლილი მანძილი 60-ჯერ და მეტად აღემატება დედამიწიდან მთვარემდე მანძილს.

ზამთრის არდადეგებისას დისნეილენდი განათებულია გირლანდებით, რომელთა საერთო სიგრძე თითქმის 25 კილომეტრია. 1500-ზე მეტი სადღესასწაულო ხეა მორთული 275000 მეტრის სიგრძის ლენტებით.

პარკში არის შადრევანი, სადაც სტუმრებს შეუძლიათ წყალში ჩაყარონ მონეტები და სურვილი ჩაიფიქრონ. შეგროვებული თანხა გადაეცემა არაკომერციულ ორგანიზაციას – „მიეცით ბავშვებს სამყარო“. ეს ორგანიზაცია სიცოცხლისთვის საშიში დაავადებებით დასნეულებულ პატარებს ეხმარება.

დისნეილენდში, ყოველდღიურად, საშუალოდ, 210 მზის სათვალე იკარგება. 1971 წლიდან მოყოლებული „დაკარგული ნივთების“ ყუთში 3 მილიონზე მეტი სათვალე აღმოჩნდა.

ამერიკის შეერთებული შტატების გარდა, დისნეილენდის პარკები გახსნილია აზიასა (ტოკიო და ჰონგ კონგი) და ევროპაში (საფრანგეთი). ამიტომ, შეიძლება ითქვას:

დისნეილენდში მზე არასდროს ჩადის.

სიმეტრია ბუნებაში

მათემატიკა ყველგან არის. ამას ზოგჯერ ვამჩნევთ, ზოგჯერ კი – ვერა. ჩვენ უბრალოდ ვტკბებით გარემომცველი ბუნებით და ხშირად არ ვინ ტერესდებით იმ მათემატიკური იდეებით, რომლებიც ყველგან გვხვდება. ქვემოთ საუბარია მათემატი კის ერთ-ერთ ძირითად იდეაზე, რომელსაც **სიმეტრია** ჰქვია.

რა არის სიმეტრია? სიმეტრია ახასიათებს საგანს ან გამოსახულებას, რომელსაც აქვს ორი ერთნაირი მხარე. თუ სხეული **სიმეტრიულია**, მასზე შესაძლებელია ისეთი ხაზის გავლება, რომელიც სხეულს ორ ერთნაირ ნაწილად გაყოფს. ამ ხაზს სიმეტრიის ღერძს უწოდებენ. სიმეტრიულ საგანს სიმეტრიის ღერძ ზე თუ „გადაკეცავ", მისი ნაწილები ერთმანეთს ისე დაემთხვევა, როგორც გამოსახულება და გამოსახულების ანარეკლი სარკეში. ასეთ სიმეტრიას ღერძულ ან სარკისებურ სიმეტრიას უწოდებენ. ღერძული სიმეტრია ყველაზე მარტივია. არსებობს სიმეტრიის სხვა სახეებიც, რომელთაც მომდევნო კლასებში ისწავლი.

აი, ასეთია სიმეტრია ძაღლის სახეზე.

გავლებული ვერტიკალური ხაზი სიმეტრიის ღერძია.

სიმეტრიის შემჩნევა ძალიან ადვილია. მაგალითად, გაიხსენე პეპელა, დახედე საკუთარ სხეულს, შეხედე შენობებს ქუჩაში, დააკვირდი გამოსახულებებს წიგნებსა და კომპიუტერის ეკრანზე. შეხედე ძაღლს, კატას, ჩიტს. სიმეტრიას ყველგან შენიშნავ.

ადამიანებს სიმეტრიული აღნაგობა აქვთ და სიმეტრიის დარღვევისას, მაგალითად, ხერხემლის გამრუდებისას, ჯანმრთელობის პრობლემები იჩენს თავს. ამბობენ, რომ სიმეტრია ცხოველებისთვისაც მნიშვნელოვანია. სიმეტრიული ცხოველები, როგორც წესი, ჯანმრთელები არიან.

სიმეტრიული ფორმები არაცოცხალ ბუნებაშიც მრავლად გვხვდება. პლანეტები, ფიფქები, ფოთლები, ზღვის ვარსკვლავი, მზესუმზირა და კიდევ უამრავი საგანი ამა თუ იმ სიმეტრიით ხასიათდება.

საინტერესო აქტივობა – სიმეტრიული უცხოპლანეტელები

პირველი ნაბიჯი: შევქმნათ უცხოპლანეტელი

აიღე ქაღალდი და გადაკეცე სიგრძეზე ორ ნაწილად. შემდეგ აიღე ფანქარი ან პასტელი. გადაკეცილ ქაღალდზე დაიწყე ხაზის გავლება ზემოდან და ჩამოუყევი ქვემოთ. სცადე, რომ მოხაზო უცხოპლანეტელის თავის, ტანის, კიდურების ნახევარი. ალბათ, მიხვდი, რატომ ვხატავთ ნახევარ და არა მთლიან სხეულს. ამის შემდეგ ყველაფერი მარტივია. აიღე მაკრატელი და გავლებული ხაზის გასწვრივ გამოჭერი ისე, რომ ფურცელი არ გაშალო. ქაღალდს რომ გაშლი, მიიღებ უცხოპლანეტელს.

მეორე ნაბიჯი: გავაფორმოთ უცხოპლანეტელი

წებოთი დააკარი შენი უცხოპლანეტელი თეთრ ან შავ ქაღალდზე. შემდეგ კი გააფორმე სურვილის მიხედვით. გასაფორმებლად გამოგადგება ნებისმიერი წვრილმანი ნივთი: ღილები, ხუფები, ფერადი ქაღალდები, ძაფები, სტიკერები და, რა თქმა უნდა, ფანტაზია.

***შენიშვნა**: ზოგჯერ ბავშვები ფურცელზე არასწორად ხაზავენ ხოლმე. როცა გამოჭრას დაასრულებენ, ერთი მთლიანი ფიგურის ნაცვლად ორ ერთნაირ ნაწილს იღებენ. თუ ასეთი რამ დაგემართა, ორივე ნაწილი ერთმანეთის გვერდიგვერდ ისე დააკარი, რომ ერთი მთლიანი გამოსახულება მიიღო. სხვათა შორის, ასე შეიძლება სიმეტრიაც უკეთ გაიგო!*

წრიპა ჩარლი

გამარჯობა! გადავწყვიტე, ჩემს სკოლაზე გიამბოთ.

მე ნიკა მქვია და საშუალოზე კარგად ვსწავლობ, არც ძალიან კარგად, არც – ცუდად. უბრალოდ, სულ ვჩქარობ და ყოველთვის არ გამომდის დავალებების უშეცდომოდ დაწერა. დედა ამბობს, რომ ყურადღება მაკლია, თორემ ისე უნიჭო არ ვარ. მაგრამ დღეს ჩემს სწავლაზე არ გწერთ. სულ სხვა რამ მაწუხებს.

პატარაობიდან დაბალი ვარ. კლასშიც ყოველთვის ყველაზე დაბალი ვიყავი. ამის გამო ხან რას მეძახდნენ, ხან – რას: ლოკოკინას, ჯუჯას, წრიპა ჩარლის და კიდევ ისეთ რამეებს, რისი გამეორებაც საერთოდ არ მინდა. მართალია, ამ ზაფხულს ორნახევარი სანტიმეტრით გავიზარდე, მაგრამ მაინც მეორეკლასელს უფრო ვგავარ, ვიდრე – მეოთხეკლასელს. დასვენებაზე უფროსკლასელი ბიჭები ზოგჯერ ჩანთას მართმევენ და მესერზე შეაგდებენ. როცა მის ჩამოღებას ვცდილობ, დამცინიან. ჩემი მეგობრები კი ამ დროს უბრალოდ უყურებენ ამ ყველაფერს. უარეს შემთხვევაში, ისინიც იცინიან.

უფროსკლასელებისგან ერთი მეექვსეკლასელი ბიჭი გამოირჩევა, ლერი. ისეთი ძლიერია, თუ მოინდომა, ალბათ, ბეჰემოთსაც დაჭმუჭნის. მისი ყველას ეშინია. ან ერიდებიან ან მასთან მეგობრობას არჩევენ. მეგობრობას რა, მის ნებისმიერ სურვილს მორჩილად ასრულებენ. მე სულ ვცდილობ, თავი ავარიდო, მაგრამ ყოველთვის არ გამომდის. დერეფანში თუ შემხვდა, ვითომ შემთხვევით კედელზე მიმანარცხებს ხოლმე და თან ამას ხუმრობას ეძახის.

ცოტა ხნის წინ თითქოს მოვისვენე. გიორგი გადმოვიდა ჩვენს კლასში. ძალიან კარგად სწავლობს. შარშან მათემატიკის ოლიმპიადაზეც გაიმარჯვა და Transformer Book-იც მისცეს[1]. გიორგი ჩემზე დაბალია და ჩემზე გამხდარი. ოთახში შემოვიდა თუ არა, მივხვდი, ამის შემდეგ მას დასცინებდნენ და მე დავისვენებდი. ასეც მოხდა. იმ დღიდან მოყოლებული გიორგის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამცირებენ. მის გარშემო წრეს კრავენ და დამცინავ სახელებს ეძახიან. ის ამაზე ძალიან ბრაზდება, ყურები უწითლდება და მზადაა, ატირდეს. თავიდან ვურჩიე, ყურადღება არ მიექცია ამ ყველაფრისთვის. ზუსტად ვიცი, თუ ის არ გაბრაზდება, მალე მოსწყინდებათ მისი აბუჩად აგდება და თავს დაანებებენ. მაგრამ გიორგი ამას ვერ ახერხებს და ყოველთვის, როცა დასცინიან, ძალიან წითლდება. სხვებიც აგრძელებენ მის დამცირებას.

ახლა მე ვმეგობრობ იმ ბიჭებთან, ვინც ადრე დამცინოდა. ისინი უფლებას მაძლევენ, მათთან ვითამაშო, რადგან ახალი „გასართობი“ ჰყავთ — გიორგი. უნდა ვაღიარო, რომ ერთი-ორჯერ მეც დავცინე. თვითონაც არ ვიცი, ასე რატომ მოვიქეცი. შეიძლება მინდოდა გამეგო, როგორია, როცა სხვას ამცირებ. სიმართლე გითხრათ, ცუდი განცდაა. დანაშაულის გრძნობა დამრჩა: მე ხომ ვიცი, რას გრძნობს გიორგი ამ დროს. არ მინდა მისი დამცირება, მაგრამ თუ ასე არ მოვიქცევი, ჩემი მეგობრები არ მომცემენ მათთან ყოფნის უფლებას.

არ ვიცი, რატომ ამცირებენ ბავშვები ერთმანეთს. იქნებ, თუ სხვას პატარად აგრძნობინებ თავს, საკუთარი თავი უფრო დიდი და მაგარი გგონია? ვერ გეტყვით. ერთი კი არის, ასე გაგრძელება აღარ მინდა.

რას ფიქრობთ, როგორ მოვიქცე?

საფიქრალი:

- თქვენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს მოთხრობის მთავარი გმირი? რატომ?
- რის მიხედვით არჩევენ ბავშვები სამიზნეს დასამცირებლად? სწორია ამ თვისებების გამო ბავშვის დამცირება?
- თქვენი აზრით, რატომ ამცირებენ ბავშვები ერთმანეთს?
- თქვენ თუ ყოფილხართ მსგავს სიტუაციაში?

[1] **Transformer Book** – ნოუთბუქი, რომელსაც კლავიატურა ეხსნება. თან ლეპტოპია და თან – ტაბლეტი.



გამოყოფს სპეციალურ სითხეს, რომელიც მწერის შიგნეულობას ათხიერებს, ანუ მის მონელებას იწყებს. ფოთოლი თანდათან მჭიდროდ ეკვრის გარს მსხვერპლს და მხოლოდ მაშინ იშლება, როდესაც მწერი მთლიანად მონელებულია და მხოლოდ მცირე გამოუსადეგარი ნაწილებია დარჩენილი.

ზოგიერთი სახეობის **გველთევზა** ზღვის ფსკერზე მრავალრიცხოვან ჯგუფებად ცხოვრობს. ისინი სხეულით ნახევრად ქვიშაში არიან ჩაფლული და წყლის დინებასთან ერთად ნელა ირხევიან წყალმცენარეებივით. იკვებებიან დინებაში მოტივტივე პაწაწინა არსებებით, პლანქტონებით[1], რომლებიც არ უფრთხიან „წყალმცენარეებს“. მტრის გამოჩენის შემთხვევაში კი გველთევზები სწრაფად იმალებიან ქვიშაში და მწვანედ მოლივლივე „მინდორიც“ დროებით ქრება.

რომ არ მოგკლან, თავი მოიმკვდარუნე!

ოპოსუმი ჩრდილოეთ ამერიკაში მობინადრე მცირე ზომის ჩანთოსანი ცხოველია. როცა ძალიან ეშინია, თავს იმკვდარუნებს: წვება, ენას გადმოაგდებს, შეშდება და თითქმის არ სუნთქავს. ამას ისე დამაჯერებლად აკეთებს, რომ მტაცებელი მას აღარ ეხება. თავდამსხმელი მაშინაც კი ტყუვდება, როცა თავის მომკვდარუნებამდე რამდენიმე წამით ადრე ოპოსუმი ჩვეულებრივად მოძრაობდა. თუ საჭიროა, ოპოსუმს შეუძლია ოთხი საათიც კი იწვეს გაუნძრევლად.

დღეისთვის ცოცხალი ორგანიზმების ქცევა უმეტესწილად შესწავლილია. თუმცა დედამიწის ცოცხალი სამყარო იმდენად მრავალფეროვანია, არაა გამორიცხული, მასზე დაკვირვებით უახლოეს მომავალში კიდევ ბევრი საინტერესო ფაქტის მომსწრე გავხდეთ.

[1] პლანქტონი (ბერძნ. πλανκτον – მოხეტიალე) – იმ ორგანიზმების ერთობლიობა, რომლებიც ზღვისა და წყალსატევების წყლებში ცხოვრობენ და გადაადგილდებიან დინების გავლენით. პლანქტონები არიან როგორც მცენარეები, ისე ცხოველები.

ამ ფურცლით შეგიძლია წიგნი გააკეთო, თანაც ძალიან სწრაფად. ამისათვის ფურცელი გაზეთიდან უნდა ამოხიო და წყვეტილ ხაზზე შუაზე გაკეცო.

ცნობილი მატყუარები



კითხვის დრო

შესავალი

რას იტყვი, ვინმეს მოტყუება შეიძლება? ალბათ ფიქრობ, რომ ტყუილი ცუდი საქციელია. გეთანხმები. მაგრამ რომ არა ამ საქმეში დახელოვნება, ბევრი ცოცხალი არსება საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას ვერ შეძლებდა. ყველას არ აქვს საშიში გარეგნობა, მომაკვდინებელი შხამი, ბასრი კბილები თუ ბრჭყალები, რომ მათი საშუალებით დაიცვას თავი. ამიტომ ცოცხალი ორგანიზმების ნაწილი იძულებული ხდება, გადარჩენისთვის განსხვავებულ, ერთი შეხედვით, ნაკლებად ღირსეულ ხერხს, ტყუილს, მიმართოს. მატყუარების ფანტაზიას კი რა ამოწურავს!

მაშ ასე, გაიცანით ყველაზე ნიჭიერი მატყუარები!

გეშინია? შენც შეაშინე!

ავსტრალიისა და ახალი გვინეის მშიშარა მობინადრე, **საყელოიანი ხვლიკი**, ზომით საკმაოდ პატარაა. მას კისერზე აქვს კანის ნაოჭი, საყელო. აქედან მოდის მისი სახელწოდებაც. როცა თავს უსაფრთხოდ გრძნობს, ნაოჭი ყელზე აქვს დაკეცილი. საფრთხის დროს ორ ფეხზე დგება, პირს ფართოდ აღებს, საყელოს შლის, მტრისკენ მიიწევს და სისინებს. ასე მოწინააღმდეგის დაფრთხობას ცდილობს. თუ ამ ხერხმა არ გაჭრა, სწრაფად მიბრუნდება და საყელოს ფრიალ-ფრიალით გარბის.

ასევე იქცევიან საფრთხის დროს უშხამო გველები, ზოგიერთი სახეობის **ანკარები**. საშიში შხამიანების მსგავსად ენას ასავსავებენ და შემზარავად სისინებენ. ექსპერტი უნდა იყო, მატყუარა რომ ნამდვილისგან გაარჩიო!

ანკარას ვინ ჩივის? ის გველი მაინც არის! **ჩრდილოამერიკული ბუც** ჩხრიალა გველივით სისინებს, როცა ატყობს, რომ მისი ბინით ვიღაც მეტიჩარა დაინტერესდა. ის იმდენად ბაძავს შხამიანი გველის ხმას, რომ პირველ ამერიკელ ახალმოსახლეებს დიდხანს ეგონათ, პატარა ბუები ჩხრიალა გველებთან „ერთ ჭერქვეშ“ ცხოვრობდნენ. ამიტომ ისინი ახლოსაც არ ეკარებოდნენ მათ ფუღუროს.

გეშინია? გაიბერე!

აი, **ზღარბთევზა** კი საფრთხის მოახლოებისას წყალს იწოვს და ჩვეულებრივზე ორჯერ დიდი ხდება. მისი ეკლები მშვიდობიანობის დროს სხეულის გასწვრივაა ბრტყლად განლაგებული. როდესაც საფრთხე უახლოვდება, თევზი იბერება და ეკლებიც ვერტიკალურ ფორმას იღებს, რაც ბევრ თავდამსხმელს აფრთხობს. ამ დროს თვითონ ზღარბთევზას სწაფად ცურვა არ შეუძლია. მას მხოლოდ იმის იმედი აქვს, რომ მტაცებელს შეაშინებს და ასე დააღწევს თავს განსაცდელს.

გაიმეტე შენი სხეულის ნაწილები!

ზღვის კიტრი ბოსტნეული არ გეგონოს . პატარა ზომის უწყინარი უხერხემლო ცხოველია და ოკეანის ფსკერზე ცხოვრობს. ზოგჯერ სანაპიროებთანაც გვხვდება. სწრაფად ვერ ცურავს, მაგრამ თავს უჩვეულოდ იცავს. როცა მტერი მიუახლოვდება, თავის შინაგან ორგანოებს გამოტყორცნის, რაც მტაცებელს აბნევს და დროებით აბრმავებს კიდეც. უცნაურია, მაგრამ ამის შედეგად თვითონ ზღვის კიტრი არ იღუპება და რამდენიმე კვირაში ახალი ორგანოები უვითარდება.

ზოგიერთ ხვლიკს მტრის მოსაგერიებლად საკუთარ კუდთან გამოთხოვება უწევს. არავინ იცის, რამდენად მტკივნეულია ეს პროცესი, მაგრამ თავის დაკარგვას, ალბათ, ისევ კუდის დაკარგვა სჯობს. მით უმეტეს, თუ იცი, რომ ცოტა ხანში თავიდან ამოგივა ახალი. მოწყვეტილი კუდი ერთხანს ცოცხალივით ფართხალებს და მტრის ყურადღებას იქცევს, ამასობაში კი მისი უკუდო პატრონი გაქცევას ასწრებს.

გაიმეტე შენი თავი!

ბარტყების დაცვისას დედა **ტყის ქათამი** საკუთარი სიცოცხლის ფასად ცდილობს მტაცებლის მოტყუებას. თუ მის ნაშიერს მტერი უახლოვდება, დედა თავს არ ზოგავს, რომ მტაცებელი ბუდიდან შორს გაიტყუოს. ამისთვის მოშორებით დაჭრილივით იწყებს ფართხალს და თავდამსხმელის ყურადღება საკუთარ თავზე გადააქვს. როცა საშიშროება ჩაივლის, მაშინვე წყვეტს ამ სპექტაკლს და მიფრინავს.

დააბნიე მისი ცხვირი!

მტაცებლები მსხვერპლს ხშირად მახვილი ყნოსვით აგნებენ. კალიფორნიის ტყეებში მცხოვრები პატარა ციყვები შესანიღბად გონივრულ ხერხს მიმართავენ. ისინი პოულობენ გველის ტყავს, ღეჭავენ მას და დაღეჭილს მთელ სხეულზე ისვამენ. როგორც ჩანს, გველის სუნი მტაცებლებს დიდად არ იზიდავს.

ჭრელ-ჭრელი ხაფანგები



ცნობილ მწერიჭამია მცენარეს, **დროზერას**, ფოთლებზე აქვს წითელთავიანი სურნელოვანი ბუსუსები, რომლებიც ბრწყინავს და შორიდანვე მადის აღმძვრელად გამოიყურება. მწერს ის ნექტარი ჰგონია და სწრაფად ჯდება ფოთოლზე, მაგრამ თვითონვე ხდება დროზერას საკვები. მცენარე

ყველაზე ჭკვიანი შეგირდი

ერთ მოხუც ოსტატს სამი შეგირდი ჰყავდა. შეგირდებს წერა-კითხვას ასწავლიდა. სამივე შეგირდი ბეჯითად სწავლობდა და მალე მასწავლებელს ტოლს არ უდებდნენ დიდი წიგნების კითხვაში.

ოსტატი რომ მოხუცდა და მისი სიკვდილის დრო მოვიდა, შეგირდები დაიბარა და უთხრა: „მე მალე დაგტოვებთ და საიქიოს წავალ. ამიტომ, გადავწყვიტე, თქვენ შორის ყველაზე ჭკვიანს ოსტატის წოდება გადავცე. ახლა ერთ დავალებას მოგცემთ და ვინც საუკეთესოდ შეასრულებს, ოსტატიც ის გახდება.“ მათ თითო ცალი მონეტა დაურიგა და უთხრა: „წადით ბაზარში და ამ ფულით ისეთი რამ იყიდეთ, რაც ამ ოთახს მთლიანად გაავსებს.“

შეგირდები მიჩვეული იყვნენ ოსტატისგან ასეთ დავალებებს. მას ხშირად უყვარდა მოსწავლეების გამოცდა.

წავიდნენ ვაჟები ბაზარში. ერთმა შეგირდმა მონეტით ერთი დიდი ტომარა ქერი იყიდა, მეორემ – ბუმბულით სავსე სამი დიდი ტომარა. მესამემ ორი პატარა ნივთი შეიძინა. ნივთები ერთ ჯიბეში ჩაიდო, ხურდა კი – მეორეში.

ამასობაში მოსაღამოვდა. შებინდებისას შეგირდები ისევ ოსტატთან შეიკრიბნენ. პირველმა შეგირდმა ქერით სავსე ტომარა შემოიტანა და ქერის მარცვლები ოთახში მოაბნია. ქერმა იატაკის ნახევარი დაფარა.



მეორემ სამი ტომარა ბუმბული შემოიტანა. ტომრები გახსნა და ბუმბულები ოთახში მიმოფანტა. ბუმბული ჯერ აფრიალდა, მერე დაბლა დაეშვა და იატაკის დიდი ნაწილი დაფარა.

დადგა მესამე შეგირდის ჯერიც. მან ჯერ მიღებული ხურდა ფული დაყარა მაგიდაზე. მერე ჯიბიდან ორი ნივთი ამოიღო და ისეთი რამ გააკეთა, რომ მთელი სახლი გაივსო. ოსტატმა სიხარულით შესძახა: „ყოჩაღ, ჭკვიანი ბიჭი ხარ. ჩემი დავალება ყველაზე კარგად შენ შეასრულე.“

მერე კი მესამე შეგირდს ოსტატის წოდება უბოძა.

შეკითხვა:

რა მოიტანა მესამე შეგირდმა და
რა გააკეთა მან?

ვაშლის სალათა

საჭირო ინგრედიენტები:

- არაჟანი – 1 ჩაის ჭიქა
- ვაშლი – 500 გრამი
- თაფლი – 1 სუფრის კოვზი
- წვრილად დაჭრილი ნიგოზი – 1 სუფრის კოვზი

მომზადების წესი:

აიღე 500 გრამი ვაშლი, გულმოდგინედ გარეცხე და გაამშრალე.
შემდეგ ვაშლს გამოაცალე კურკები და კანიანად დაჭერი პატარა, თხელ ნაჭრებად ან კუბიკებად.
მიქსერით კარგად ათქვიფე არაჟანი და თაფლი.
ათქვეფილი მასა მოასხი ვაშლს.
ზემოდან მოაყარე ერთი სუფ-

რის კოვზი წვრილად დაჭრილი ნიგოზი. თუ ნიგოზი მოხალული იქნება, სალათა კიდევ უფრო არომატული გამოგივა.
გემრიელად მიირთვი!

სადილი – „თოვლის ბაბუა“



საჭირო ინგრედიენტები:

- კვერცხი – 10 ცალი
- სტაფილო – 2 ცალი (მოხარშული)
- ოხრახუში – 5 ღერი
- ზეთისხილი, კიტრი, ბოლოკი (სურვილის მიხედვით) – 2 ცალი
- კბილის ჩხირი – 10 ცალი

მომზადების წესი:

აიღე 10 ცალი კვერცხი. კარგად მოხარშე და კანი გადააცალე, გაფცქვენი.
შემდეგ მოხარშულ კვერცხებს მოაჭერი ზედა და ქვედა მომრგვალებული ნაწილი ისე, რომ არ ყირავდებოდეს.
სტაფილო მოხარშე, გაასუფთავე და „თოვლის ბაბუასთვის“ გამოჭერი „ქუდები“.
კბილის ჩხირი დაარჭე „ქუდზე“, შემდეგ კი ორი კვერცხი ერთმანეთზე ისე შემოდე, რომ მიიღო თოვლის ბაბუას სხეული. კვერცხები დაამაგრე ჩხირით (ანუ თოვლის ბაბუას „დაახურე“ ჩხირიანი ქუდი).
სტაფილოსგან გამოჭერი ცხვირი და მიამაგრე.
თვალები და ღილები, სურვილის მიხედვით, შეგიძლია დაუმზადო ზეთისხილის, კიტრის ან ბოლოკისგან შემდეგი წესით: გამოჭერი პატარა ზომის ბურთები. ჩხირით გაჩვრიტე სასურველი ადგილები და დაუმაგრე „თვალები“ და „ღილები“.
ბოლოს „თოვლის ბაბუას“ მიამაგრე ოხრახუშის „ცოცხი“ და სადილიც მზადაა.
გემრიელად მიირთვი!